

არდი დაზღვევა ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „არდი დაზღვევის“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად. შვილობილი კომპანია გასხვისდა 2017 წლის ოქტომბერში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვისა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 11 აპრილს:

ბესიკ ნათენაძე
დირექტორი

თამარ ქოპილაშვილი
მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „არდი დაზღვევის“ (შემდგომში „სადაზღვევო კომპანია“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური

ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

11 აპრილი 2018

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2017	2016, რეკლასიფი- ცირებული
	გ/შ	ლ	ლ
მოზიდული პრემია		31,383,359	28,024,164
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(3,762,651)	(4,541,408)
წმინდა მოზიდული პრემია		27,620,708	23,482,756
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(1,686,059)	(1,562,383)
გამომუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადამზღვევლის წილი		(90,086)	662,385
წმინდა გამოუმუშავებული პრემია	4	25,844,563	22,582,758
საპროცენტო შემოსავალი	5	476,283	465,254
საკომისიო შემოსავალი	6	316,212	208,327
სულ შემოსავალი		26,637,058	23,256,339
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	7	(20,739,039)	(16,604,603)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ სადაზღვევო ზარალებში	7	2,611,738	1,374,883
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	17	3,068,210	(4,795,646)
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	17	(3,086,790)	4,543,819
წმინდა შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	19	1,323,222	5,508,201
რეგრესიდან მოთხოვნაში გადამზღვევლის წილის ცვლილება	22	46,001	(3,938,068)
წმინდა სადაზღვევო ზარალები		(16,776,658)	(13,911,414)
საკომისიო ხარჯები	8	(2,917,629)	(2,563,982)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(4,991,365)	(4,230,734)
მარკეტინგული ხარჯები	10	(762,977)	(753,464)
გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი	11	(493,696)	(1,116,831)
საპროცენტო ხარჯი	5	(98,474)	(105,710)
შვილობილი კომპანიის გასხვისებით მიღებული ზარალი		(27,406)	-
წმინდა სხვა შემოსავალი		263,349	77,460
მოგება საკურსო სხვაობიდან		59,784	258,734
მოგება დაბეგვრამდე		891,986	910,398
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(40,825)	(158,977)
წლიური მოგება		851,161	751,421
წლის სხვა სრული შემოსავალი	13	-	66,410
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		851,161	817,831

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 11 აპრილს.

ბესიკ ნათენაძე
დირექტორი

თამარ ქობილაშვილი
მთავარი ბუღალტერი

არდი დაზღვევა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

		2017	2016, რეკლასიფი -ცირებული	2015, რეკლასიფი -ცირებული
გ/შ	ლ	ლ	ლ	ლ
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	1,603,745	1,627,336	1,673,613
არამატერიალური აქტივები	14	192,307	107,473	18,929
საინვესტიციო ქონება	15	945,950	1,370,217	1,331,690
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	16	1,299,942	1,107,733	933,665
გადაზღვევის აქტივები	17	7,460,368	10,637,244	5,431,040
სხვა აქტივები	18	3,193,896	2,091,807	1,773,855
სადაზღვევო მოთხოვნები	19	24,162,052	20,879,772	15,830,187
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	20	2,896,788	2,682,026	2,781,533
ფული და ფულის ექვივალენტები	20	1,433,797	2,387,421	1,450,998
სულ აქტივები		43,188,845	42,891,029	31,225,510
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	21	2,600,000	1,600,000	1,600,000
გადაფასების რეზერვი		158,907	158,907	92,497
გაუნაწილებელი მოგება		3,841,798	2,990,637	2,311,373
სულ კაპიტალი		6,600,705	4,749,544	4,003,870
ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	17	23,891,087	25,273,238	18,915,209
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	22	8,928,474	10,257,249	5,941,765
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	23	201,171	182,017	118,589
მიღებული სესხები	24	1,272,375	811,270	1,110,595
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25	1,558,113	921,617	598,364
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	12	-	-	131,926
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		736,920	696,094	405,192
სულ ვალდებულებები		36,588,140	38,141,485	27,221,640
სულ კაპიტალი ვალდებულებები		43,188,845	42,891,029	31,225,510

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 11 აპრილს.

ბესიკ ნათენაძე
დირექტორი

თამარ ქოპილაშვილი
მთავარი ბუღალტერი

არდი დაზღვევა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
	GEL	GEL	GEL	GEL
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,600,000	92,497	2,311,373	4,003,870
წლიური მოგება	-	-	751,421	751,421
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	66,410	-	66,410
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	66,410	751,421	817,831
გადახდილი დივიდენდები	-	-	(72,157)	(72,157)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,600,000	158,907	2,990,637	4,749,544
კაპიტალის შევსება	1,000,000	-	-	1,000,000
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	851,161	851,161
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,600,000	158,907	3,841,798	6,600,705

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 11 აპრილს.

ბესიკ ნათენაძე
დირექტორი

თამარ ქოპილაშვილი
მთავარი ბუღალტერი

**კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

	2017 GEL	2016 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სადაზღვევო პრემიის შემოღინება	26,505,879	24,427,198
გაღინება გადაზღვევის პრემიის მიხედვით	(1,615,282)	(1,844,499)
სადაზღვევო პრემიის წმინდა შემოღინება	24,890,597	22,582,699
გაღინება სადაზღვევო ზარალების მიხედვით	(19,803,407)	(16,170,943)
გადაზღვევლის მიერ ანაზღაურებული ზარალები და რეგრესი	2,191,076	2,831,772
გაღინება სადაზღვევო ზარალების მიხედვით	(17,612,331)	(13,339,171)
გაღინება აგენტის საკომისიოს მიხედვით	(2,392,782)	(2,118,484)
გაღინება მომწოდებლების და თანამშრომლების მიხედვით	(5,363,227)	(4,367,066)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	(477,743)	2,757,978
გადახდილი პროცენტი	(103,324)	(136,561)
გადახდილი გადასახადები	(1,563,478)	(1,151,103)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,144,545)	1,470,314
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების შეძენა	(12,439)	(230,278)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	94,940	-
გაცემული სესხები	(1,340,569)	(1,780,231)
გაცემული სესხების დაბრუნება	1,146,904	1,506,389
მიღებული პროცენტი	216,868	393,909
შვილობილი კომპანიის გასხვისება	(231)	-
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	105,473	(110,211)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	2,503,082	865,570
სესხების დაფარვა	(2,067,853)	(1,294,310)
კაპიტალის შევსება	1,000,000	-
გადახდილი დივიდენდები	-	(72,157)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	1,435,229	(500,897)
ფული და ფულის ექვივალენტები		
1 იანვრის მდგომარეობით	5,020,501	4,143,170
წმინდა (კლება)/ზრდა წლის განმავლობაში	(603,843)	859,206
კურსთა შორის სხვაობის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	(143,321)	18,125
31 დეკემბრის მდგომარეობით	4,273,337	5,020,501
შემადგენლობა		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,433,797	2,387,421
მოთხოვნები საკრედიტო დანესებულებების მიმართ	2,896,788	2,682,026
სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით	4,330,585	5,069,447
მინუს დარიცხული პროცენტი	(57,248)	(48,946)
სულ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის	4,273,337	5,020,501

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 11 აპრილს.

ბესიკ ნათენაძე
დირექტორი

თამარ ქოპილაშვილი
მთავარი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1 ზოგადი ინფორმაცია

სს „არდი დაზღვევა“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია ფუნქციონირებს სათავო ოფისის და 7 სერვის ცენტრის მეშვეობით და ახორციელებს სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებას საქართველოში (იხ. მე-4 განმარტებითი შენიშვნა).

2017 წლის ოქტომბრამდე კომპანია ფლობდა შპს „არდი ფროფერტის“ (შემდგომში „შვილობილი“) 100%-ს. შვილობილი ორიენტირებულია უზრუნველყოფაში ჩადებული და ზარალის დადგომის შედეგად გასაყიდი აქტივების შეძენაზე. კომპანია და შვილობილი ერთობლივად მოიხსენიება, როგორც ჯგუფი.

კომპანიის მფლობელები არიან:

არმაზ თავაძე	50%
ზურაბ ხიზანიშვილი	30%
ზაზა ნიშნიანიძე	20%
	100%

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(A) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

IFRS-ში შესულია გარკვეული ცვლილებები, რომელთა გათვალისწინება პირველად სავალდებულო 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. ეს ცვლილებები არ ახდენენ გავლენას ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. IFRS 9 *ფინანსურ ინსტრუმენტებს*, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან, შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა ამ ეტაპზე, დეტალური განხილვის დასრულებამდე, ამ გავლენის შეფასება არაპრაქტიკულია. გარდა ამისა, 2016 წლის სექტემბერში მიღებული ცვლილებით, სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, 2021 წლამდე გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება (ნაცვლად IFRS 9-ისა), რასაც გეგმავს ჯგუფი. 2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 *სადაზღვევო კონტრაქტები*, რომელიც 2021 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს.

(B) სადაზღვევო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

მოზიდული პრემია

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამომუშავებული პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამომუშავებული პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამომუშავებული პრემიის რეზერვი (იხ. ამ გ/შენიშვნის J ნაწილი).

გადაზღვევის პრემია

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში აღიარებული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამომუშავებული გადაზღვევის პრემია არის წლის განმავლობაში აღიარებული დასათმობი პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამომუშავებული გადაზღვევის პრემია გამოითვლება იმ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, რომლის რისკის გადაზღვევაც ხდება.

სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გათვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(C) კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და შვილობილის შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებს და ვალდებულებებს 2017 წლის ოქტომბრამდე, როცა კომპანიამ გაასხვისა შვილობილი.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

(D) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მიწის დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რევერზის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობები	4% წრფივი
კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	20% წრფივი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20% წრფივი
სატრანსპორტო საშუალებები	14% წრფივი
სხვა	20% წრფივი
მიწა არ იცვითება	

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

იჯარით აღებული აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა (ლიზინგი) თუ მფლობელობასთან დაკავშირებული რისკები და უკუგება მნიშვნელოვანწილად გადმოდის ჯგუფში. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის საიჯარო გადასახდელები აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით, საიჯარო პირობების შესაბამისად.

(E) არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% წრფივი) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

(F) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

(G) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და საინვესტიციო ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

(H) აკვიზიციის გადავადებული ხარჯი (DAC)

საკომისიო და აკვიზიციის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, გადავადდება, რამდენადაც ხდება ამ კონტრაქტებიდან მისაღები პრემიის გამომუშავება მომავალში. ამ გამომუშავების შესაბამისად ხდება DAC-ის ამორტიზაცია და ხარჯის აღიარება მოგება-ზარალში.

ყოველ საანგარიშგებო თარიღში (ან უფრო ხშირად, თუ ინდიკაცია არსებობს) ხდება გაუფასურების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზარალის აღიარება მოგება-ზარალში. კონტრაქტის გაუქმების შემთხვევაში ხდება შესაბამისი DAC-ის ჩამოწმება.

(I) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფმა ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები - არანარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი.

როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებაზე. ფასდება, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვ.

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნების (იხ. ქვემოთ) შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად არ ხდება გაუფასურების შეფასება, ჯგუფი აფასებს გაუფასურებას კოლექტიურად, წარსულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით. ამ რეზერვის ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო მოთხოვნები შედგება:

- სადაზღვევო პრემიის მოთხოვნისგან, რაც წარმოადგენს გამომუშავებული (გადახდის ვადადამდგარი) და გამომუშავებული პრემიების მოთხოვნის ჯამს;
- რეგრესის მოთხოვნა - მესამე მხარეებისგან მოთხოვნილი და მიუღებელი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

გადაზღვევის აქტივები

გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადაზღვევლის წილს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში (იხ. ამ გ/შენიშვნის J ნაწილი).

ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს ფულს სალაროში, საბანკო ნაშთებს (მოთხოვნამდე და ვადიან ანაბრებს) და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სადაზღვევო აგენტისთვის გადასახდელი საკომისიო, რომელიც შედის სხვა სადაზღვევო ვალდებულებებში, ამორტიზდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც გამოუმუშავდება შესაბამისი შემოსავლები.

(J) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. IBNR გამოითვლება კანონმდებლობის შესაბამისად: მოზიდული პრემიის 5% ყველა სადაზღვევო კონტრაქტისთვის, გარდა სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევისა და მოზიდული პრემიის 2% სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში. არ ხდება ვალდებულების დისკონტირება დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით. არ ხდება კატასტროფის რეზერვის აღიარება. ვალდებულება ჩამოიწერება, როცა ხდება გადახდა, გაქვითვა ან ანულირება.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღში ჯერ არ ამოწურულ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას (მინუს აკვიზიციის გადავადებული ხარჯი). თუ აღმოჩნდება, რომ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი არის არაადეკვატური, ხდება პრემიის დეფიციტის რეზერვის აღიარება მოგება-ზარალის გამოყენებით.

(K) უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	ლ / USD	ლ / EUR
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.51	2.83
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.65	2.79
საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.37	2.62
გაცვლითი კურსი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.39	2.62

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(L) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის ჯგუფი (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოსთან და ჯგუფს სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

(M) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

(N) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ ჯგუფის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

3 რეკლასიფიკაციის გავლენა შესადარის ინფორმაციაზე

ჯგუფმა გაასწორა შეცდომა რეგრესიდან შემოსავლის, რეგრესიდან მოთხოვნების და რეგრესიდან მოთხოვნებში გადამზღვევის წილის აღრიცხვაში. ადრე რეგრესიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი კრედიტდებოდა, როგორც რეგრესიდან მოთხოვნებში გადამზღვევის წილი. ბასს 8-ის შესაბამისად, ჯგუფმა ცვლილება აღრიცხა რეტროსპექტულად. შედეგად მიღებული რეკლასიფიკაციები წარმოდგენილია ქვემოთ.

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ამონარიდი)	ადრე წარმოდგენილი 2016	რეკლასი- ფიკაცია	რეკლასი- ფიცირებული 2016
	ლ	ლ	ლ
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	(16,604,603)	-	(16,604,603)
გადამზღვევის წილი ანაზღაურებულ სადაზღვევო ზარალებში	1,374,883	-	1,374,883
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	(4,795,646)	-	(4,795,646)
გადამზღვევის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	4,543,819	-	4,543,819
წმინდა შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	1,570,133	3,938,068	5,508,201
რეგრესიდან მოთხოვნაში გადამზღვევის წილის ცვლილება	-	(3,938,068)	(3,938,068)
წმინდა სადაზღვევო ზარალები	(13,911,414)	-	(13,911,414)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ამონარიდი)	ადრე წარმოდგენილი 2016	რეკლასი- ფიკაცია	რეკლასი- ფიცირებული 2016
	ლ	ლ	ლ
სადაზღვევო მოთხოვნები	26,575,072	(5,695,300)	20,879,772
სხვა აქტივები	22,011,257	-	22,011,257
სულ აქტივები	48,586,329	(5,695,300)	42,891,029
სულ კაპიტალი	4,749,544	-	4,749,544
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	15,952,549	(5,695,300)	10,257,249
სხვა ვალდებულებები	27,884,236	-	27,884,236
სულ ვალდებულებები	43,836,785	(5,695,300)	38,141,485
სულ კაპიტალი ვალდებულებები	48,586,329	(5,695,300)	42,891,029

არდი დაზღვევა ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ამონარიდი)	აღრე წარმოდგენილი 2015	რეკლასი- ფიკაცია	რეკლასი- ფიცირებული 2015
	ლ	ლ	ლ
სადაზღვევო მოთხოვნები	22,566,987	(6,736,800)	15,830,187
სხვა აქტივები	15,395,323	-	15,395,323
სულ აქტივები	37,962,310	(6,736,800)	31,225,510
სულ კაპიტალი	4,003,870	-	4,003,870
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	12,678,565	(6,736,800)	5,941,765
სხვა ვალდებულებები	21,279,875	-	21,279,875
სულ ვალდებულებები	33,958,440	(6,736,800)	27,221,640
სულ კაპიტალი ვალდებულებები	37,962,310	(6,736,800)	31,225,510

4 წმინდა გამომუშავებული პრემია

დაზღვევის სახეობა:	2017			2016		
	მოზიდული პრემია	გადაზღვევ ლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	მოზიდული პრემია	გადაზღვევ ლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია
სამედიცინო	19,685,133	-	19,685,133	16,009,559	-	16,009,559
ქონება	3,006,613	(654,477)	2,352,136	4,022,167	(1,730,489)	2,291,678
კასკო	2,453,688	-	2,453,688	2,510,426	-	2,510,426
ვალდ. შესრულება	2,030,888	(1,170,764)	860,124	1,881,013	(988,200)	892,813
მესამე პირთა ვალდ.	1,092,124	(231,040)	861,084	922,367	(279,163)	643,204
საჰაერო მესამე პირ. ვალდ.	1,045,480	(991,347)	54,133	1,138,249	(1,053,639)	84,610
საჰაერო ტრანსპორტი	486,407	(474,277)	12,130	288,270	(266,965)	21,305
ავტოტრანსპორტი მპ ვალდ.	379,150	-	379,150	420,319	-	420,319
უბედური შემთხვევა	362,683	(55,489)	307,194	161,220	(63,573)	97,647
სიცოცხლე	260,302	(179,138)	81,164	81,649	(52,374)	29,275
კარგო	247,294	(4,602)	242,692	276,097	(105,542)	170,555
სამოგზაურო	236,115	-	236,115	221,268	-	221,268
საფინანსო ზარალი	97,482	(1,517)	95,965	91,560	(1,463)	90,097
	31,383,359	(3,762,651)	27,620,708	28,024,164	(4,541,408)	23,482,756
ცვლილება გამომუშავებელი პრემიის რეზერვში	(1,686,059)	(90,086)	(1,776,145)	(1,562,383)	662,385	(899,998)
წმინდა გამომუშავებული პრემია	29,697,300	(3,852,737)	25,844,563	26,461,781	(3,879,023)	22,582,758

მოზიდული პრემია მოიცავს ლ 2,050,031 (2016: ლ 2,784,024) პრემიას ფრონტინგული კონტრაქტებიდან (კონტრაქტები, სადაც სადაზღვევო რისკი 100%-ით გადაზღვეულია) და გადაზღვევის წილი მოზიდულ პრემიაში მოიცავს ლ 1,873,683 (2016: ლ 2,511,668).

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

	2017	2016
	ლ	ლ
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	322,446	260,237
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	153,837	205,017
საპროცენტო შემოსავალი	476,283	465,254
საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხებზე	(85,647)	(97,878)
საპროცენტო ხარჯი სხვა სესხებზე	(12,827)	(7,832)
საპროცენტო ხარჯი	(98,474)	(105,710)

6 საკომისიო შემოსავალი

	2017	2016
	ლ	ლ
ბრუტო საკომისიო შემოსავალი	335,366	271,755
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	(108,643)	(129,183)
წინა პერიოდის გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია	89,489	65,755
საკომისიო შემოსავალი	316,212	208,327

გადავადებული საკომისიო შემოსავლის მოძრაობა წარმოდგენილია 23-ე გ/შენიშვნაში.

7 ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები

	2017			2016		
	ანაზღაურებული	გადაზღვევლის წილი	წმინდა ანაზღაურება	ანაზღაურებული	გადაზღვევლის წილი	წმინდა ანაზღაურება
სამედიცინო	14,458,558	-	14,458,558	12,371,824	-	12,371,824
ვალდ. შესრულება	3,341,787	(2,129,286)	1,212,501	2,154,495	(1,374,883)	779,612
კასკო	1,654,129	-	1,654,129	1,291,115	-	1,291,115
ქონება	948,898	(482,452)	466,446	457,569	-	457,569
ავტოტრანსპორტი მპ						
ვალდ.	195,410	-	195,410	229,531	-	229,531
საფინანსო ზარალი	66,525	-	66,525	46,773	-	46,773
სამოგზაურო	41,383	-	41,383	12,054	-	12,054
მესამე პირთა ვალდ.	11,543	-	11,543	20,229	-	20,229
უბედური შემთხვევა	1,353	-	1,353	-	-	-
კარგო	-	-	-	5,784	-	5,784
ზარალების დარეგულ. სხვა ხარჯები	19,453	-	19,453	15,229	-	15,229
	20,739,039	(2,611,738)	18,127,301	16,604,603	(1,374,883)	15,229,720

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

8 საკომისიო ხარჯები

საკომისიო ხარჯები არის სადაზღვევო კონტრაქტების მოპოვების (ან განახლების) ხარჯები:

	2017	2016
	ლ	ლ
ბრუტო მოპოვების ხარჯები	3,109,838	2,738,050
გადავადებული მოპოვების ხარჯები	(1,217,656)	(1,023,974)
წინა პერიოდის მოპოვების ხარჯების ამორტიზაცია	1,025,447	849,906
საკომისიო ხარჯები	2,917,629	2,563,982

ჯგუფი უხდის საკომისიოს სადაზღვევო აგენტებს სადაზღვევო პრემიის მიღების შემდეგ, ძირითადად ეს საკომისიო არის პრემიის 10%. გადავადებული მოპოვების ხარჯების მოძრაობა წარმოდგენილია მე-16 გ/შენიშვნაში.

9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
	ლ	ლ
ხელფასები	2,934,441	2,951,972
იჯარა	356,919	299,845
ცვეთა და ამორტიზაცია	222,024	203,436
საჯარო რეესტრი და ნოტარიუსი	163,259	70,648
საკონსულტაციო	150,675	89,346
საკანცელარიო	150,652	111,795
საკომუნიკაციო	126,748	79,153
მივლინება	88,631	54,894
წარმომადგენლობითი	74,234	82,431
კომუნალური	53,939	46,001
საოფისე	55,764	14,610
ბანკის საკომისიო	48,535	32,616
სხვა	565,544	193,987
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,991,365	4,230,734

10 მარკეტინგული ხარჯები

	2017	2016
	ლ	ლ
გაყიდვის პერსონალის ხელფასები	581,578	574,338
სარეკლამო ხარჯი	173,134	168,411
მიწოდების სხვა ხარჯები	8,265	10,715
მარკეტინგული ხარჯები	762,977	753,464

განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

11 გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი

	2017	2016
	ლ	ლ
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნის გაუფასურება (გ/შენიშვნა 19)	983,716	943,774
გაცემული სესხების (სხვა აქტივები) გაუფასურება (გ/შენიშვნა 18)	(489,765)	104,346
სხვა აქტივების ჩამოწერა	(255)	68,711
